N 23-10-165
26/01/2023

165-შ-23-10-3-202301261214

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარის არჩევნების კენჭისყრის ოქმი

„საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2016 წლის 1 მარტის N2 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლისა და კომისიის 2023 წლის 20 იანვრის N გ-23-22/8 გადაწყვეტილების შესაბამისად, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარის არჩევის პროცესი დაიწყო 2023 წლის 26 იანვარს, 11:05 საათზე;

კომისიის თავმჯდომარის რეგისტრირებულ კანდიდატთა ოდენობაა 1 (ერთი);

I ტური:

საარჩევნო ყუთი საჯაროდ დაილუქა 2023 წლის 26 იანვარს 11:06 საათზე, ფიზიკურად გაიცა 5 (ხუთი) საარჩევნო ბიულეტენი;

I ტურის კენჭისყრა დასრულდა 2023 წლის 26 იანვრის 11:15 საათზე;

საარჩევნო ყუთის გახსნისას მასში აღმოჩნდა 5 (ხუთი) ბიულეტენი;

კომისიის თავმჯდომარის კანდიდატმა კახი ბექაურმა კენჭისყრის შედეგად მიიღო 5 (ხუთი) ხმა; არ გაფუჭებულა არცერთი ბიულეტენი;

I ტურის შედეგად კომისიის თავმჯდომარის კანდიდატი კახი ბექაური არჩეულ იქნა კომისიის თავმჯდომარედ.

ირაკლი ბუთბაია

დეპარტამენტის უფროსი
სამართლებრივი დეპარტამენტი

სოფიო კაციტაძე

სამსახურის უფროსის მ.შ.
ადამიანური რესურსების მართვის სამსახური

ნათია შოვნაძე

ჯგუფის უფროსი
საქმისწარმოების და საორგანიზაციო ჯგუფი